სასესხო ხელშეკრულება

(განსაკუთრებული ოპერაციები)

(მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი –ფაზა II)

საქართველოსა

და

აზიის განვითარების ბანკს

შორის

თარიღი: 20 აგვისტო, 2009

LAS: GEO 43171

სასესხო ხელშეკრულება

(განსაკუთრებული ოპერაციები)

საქართველოსა ("სესხის ამღები") და აზიის განვითარების ბანკს ("ADB") შორის დადებული სასესხო ხელშეკრულება, დათარიღებული ----- .

რადგანაც,

(ა) სესხის ამღებმა მიმართა ADB-ს სესხისათვის რათა განახორციელოს პროექტი, რომელიც აღწერილია წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების დანართში 1 ("პროექტი");

(ბ) პროექტის განხორციელება მოხდება სესხის ამღების საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ("MDF") მიერ და აღნიშნული მიზნისათვის სესხის ამღები ხელმისაწვდომს გახდის სასესხო სახსრებს MDF-სათვის, ADB-სათვის მისაღები პირობებითა და ვადებით ; და

(გ) ADB თანხმობას აცხადებს, სხვა პირობათა შორის, ქვემოთმოყვანილის საფუძველზე სესხის ამღებზე გასცეს სესხი ADB-ის სპეციალური სახსრების რესურსებიდან, იმ პირობებითა და ვადებით, რომელიც მოცემულია ამ ხელშეკრულებასა და ხელშეკრულებაში რომელიც დადებულია ბანკსა და MDF-ს შორის ("საპროექტო ხელშეკრულება").

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

სასესხო პირობები; განსაზღვრებები

პუნქტი1.01. 2006 წლის 1 იანვრით დათარიღებულ ADB-ის სპეციალური ოპერაციების სასესხო პირობების ყველა პუნქტი ("სასესხო პირობები"), გამოიყენება წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებასთან მიმართებაში სრული ძალით და ქმედითობის უნარით, თითქოს ამავე დოკუმენტში იყოს სრულად მოყვანილი.

პუნქტი1.02. სასესხო რეგულაციებში ჩამოყალიბებული განსაზღვრებები გამოიყენება წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებასთან მიმართებაში, თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს . ქვემოთ მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

(ა) "ADB-ს სესხის გაცემის სახელმძღვანელო" ნიშნავს ADB-ს სესხის გაცემის სახელმძღვანელოს, რომელიც დათარიღებულია 2007 წლის იანვრით, დროთა განმავლობაში მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

(ბ) "დებულება" აღნიშნავს MDF-ის დებულებას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №118 დადგენილებით და რომელიც თარიღდება 2005 წლის 23 იულისით, დროთა განმავლობაში მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

(გ)"საკონსულტაციო სახელმძღვანელო" ნიშნავს ADB-ს სახელმძღვანელოს აზიის განვითარების ბანკისა და მისი სესხის ამღებთა მიერ კონსულტანტების გამოყენებასთან დაკავშირებით, დათარიღებული 2007 წლის თებერვლით, დროთა განმავლობაში მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

(დ)"EARF" ნიშნავს პროექტისათვის MDF-სა და ADB-ის შორის შეთანხმებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და მიმოხილვის სტრუქტურას
MSDP I შესაბამისად, დროთა განმავლობაში მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

(ე) "საქონელი" ნიშნავს სასესხო სახსრებით დასაფინანსებელ აღჭურვილობასა და მასალას, რომელიც მოიცავს აღნიშნულთან დაკავშირებულ ისეთ მომსახურებასაც, როგორიცაა ტრანსპორტაციის, დაზღვევის, ინსტალაციის, ექსპლუატაციის, სწავლებისა და საწყისი მოვლა-პატრონობის სერვისები, საკონსულტაციო მომსახურების გამორიცხვით;

(ვ) "გრანტი" ნიშნავს MDF-ის მიერ სასესხო სახსრებიდან გაცემულ ანგასაცემგრანტს მუნიციპალური მთავრობის მიმართ ქვე-პროექტთან დაკავშირებით;

(ზ) " დაფინანსების საინვესტიციო ხელშეკრულება" აღნიშნავს ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდება MDF-სა და მუნიციპალურ მთავრობას შორის ქვე-პროექტის დაფინანსების მიზნით, საპროექტო ხელშეკრულების დანართის მე-8-პარაგრაფში მოცემული აღწერილობის შესაბამისად;

(თ) "ლარი" აღნიშნავს სესხის ამღების ოფიციალურ ვალუტას;

(ი) "MDF(მგფ)" ნიშნავს სესხის ამღების მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც დაარსდა პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისით დათარიღებული №294 ბრძანებულებით, დროთა განმავლობაში მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

(კ) "MG" აღნიშნავს პროექტის ფარგლებში მოქმედ მუნიციპალურ მთავრობას, რომლის მიმართაც MDF გასცემს სესხსა და/თუ გრანტს ქვეპროექტის განსახორციელებლად;

(ლ) MSDP I ნიშნავს ADB-ის მიერ დაფინანსებულ მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტს (სესხის ნომერი №2441-GEO[SF])

(მ)

"სამოქმედო სახელმძღვანელო" აღნიშნავს სამოქმედო სახელმძღვანელოს, რომელიც მიღებულ იქნა MDF-ის მიერ და შეთანხმებული იქნა ADB-სთან, MSDP I – ის შესაბამისად, დროთა განმავლობაში მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

(ნ) "შესყიდვების წესები" აღნიშნავს ADB-ის შესყიდვების წესებს, რომელიც დათარიღებულია 2007 წლის თებერვლით, დროთა განმავლობაში მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

(ო) "შესყიდვების გეგმა" აღნიშნავს პროექტისათვის განსაზღვრულ შესყიდვების გეგმას, რომელიც გაფორმებულია MDF-სა და ADB-ს შორის 2009 წლის 10 ივნისს და განახლებულია დროთა განმავლობაში შესყიდვების წესების, საკონსულტაციო სახელმძღვანელოს და ADB-სთან შეთანხმებული სხვა ღონისძიებების შესაბამისად;

(პ) "პროექტის განხორციელების ტერიტორია" აღნიშნავს სესხის ამღების ტერიტორიაზე არსებულ ურბანულ ტერიტორიებს;

(ქ) "საპროექტო ხელშეკრულება"-ს გააჩნია წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების პრეამბულის (გ) პუნქტში მოცემული მნიშვნელობა;

(უ) "პროექტის განმახორციელებელი სააგენტო" სასესხო პირობების მიზნების და მისი მნიშვნელობის ფარგლებში აღნიშნავს MDF-ს ან ნებისმიერ მემკვიდრეს, რომელიც მისაღები იქნება ADB-სათვის და რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელებაზე;

(რ) "პროექტის განხორციელების ხელშეკრულება" აღნიშნავს ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდება სესხის ამღებსა და მგფ-ს შორის პროექტთან დაკავშირებით, სასესხო ხელშეკრულების 3.01 პუნქტის შესაბამისად;

(ს) (SAR) ნიშნავს ქვე-პროექტის შეფასების ანგარიშს, რომელიც მომზადდება მგფ-ს მიერ იმ ქვეპროექტთან მიმართებაში, რომლის ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 2,000,000 აშშ დოლარის ექვივალენტს და მეტს;

(ტ) (SSR) აღნიშავს ქვეპროექტის შემაჯამებელ ანგარიშს, რომელიც მომზადდება მგფ-ს მიერ ქვე-პროექტთან მიმართებაში, რომლის ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 2,000,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლებს;

(უ) "ქვესესხი" აღნიშავს სესხს, რომელიც გაცემულია, ან გამიზნულია გასაცემად სასესხო სახსრებიდან მგფ-ს მიერ მუნიციპალური მთავრობის მიმართ, - ქვეპროექტთან დაკავშირებით;

(ფ) "ქვეპროექტი" ნიშნავს სპეციფიკური განვითარების პროექტს, რომელიც აკმაყოფილებს საპროექტო ხელშეკრულების დანართის პარაგრაფ 2-ში მოცემულ კრიტერიუმებს;;

(ქ) "მექანიზმი 1" აღნიშავს ფინანსურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ქვესესხებისა და გრანტების კომბინაციას, აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების 5-ე დანართის 3 (1) პარაგრაფის შესაბამისად;

(ღ) "მექანიზმი 2" აღნიშავს ფინანსურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს გრანტებს, მოცემული სასესხო ხელშეკრულების 5-ე დანართის 3 (2) პარაგრაფის შესაბამისად;

(ყ) "სამუშაოები" აღნიშნავს სამშენებლო სამუშაოებს, ან მშენებლობას, რომელიც ფინანსდება სასესხო სახსრებით და მოიცავს ისეთ სერვისებს, როგორიცაა ბურღვა ან რეკების შექმნა, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ მომსახურებებს, ერთი ან საბოლოოდ დასრულებული სახით ჩაბარებული კონტრაქტის ფარგლებში , საკონსულტაციო სერვისების გამორიცხვით.

II მუხლი

სესხი

პუნქტი 2.01. ADB თანახმაა, რომ გასცეს სესხი სესხის ამღების მიმართ ADB-ის სპეციალური სახსრების რესურსებიდან სხვადასხვა ვალუტებში, რომლის ოდენობაც წარმოადგენს სპეციალიზირებული სასესხო უფლებების ცხრამეტი მილიონ სამასსამოცდათოთხმეტი ათასის ექვივალენტს (SDR 19,374,000) .

პუნქტი 2.02. სესხის ამღები სასესხო ანგარიშიდან ჩამორიცხულ და გადაუხდელ თანხაზე ვალდებულია გადაუხადოს ADB-ის სესხის თანხაზე განხორციელებული საპროცენტო დარიცხვა ერთი მთელი ექვსი მეათედი პროცენტის სახით (1.6%) წელიწადში .

პუნქტი 2.03. საპროცენტო დარიცხვასა და სესხთან დაკავშირებული სხვა სახის დარიცხვების გადახდა განხორციელდება წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის 15 მარტსა და 15 სექტემბერს.

პუნქტი 2.04. . სასესხო ანგარიშიდან გამოთხოვნილი სესხის ძირითად თანხას სესხის ამღები გადაიხდის ამორტიზაციის გრაფიკის შესაბამისად, რომელიც წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მე-2 დანართში არის მოცემული.

პუნქტი 2.05. სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის ვალუტა სასესხო პირობების 4.03 (ა) და 4.04 პუნქტების მიზნებისთვის იქნება დოლარი.

III მუხლი

სასესხო სახსრების გამოყენება

პუნქტი 3.01. სესხის ამღები ვალდებულია, რომ აღნიშნული სასესხო სახსრები უსასყიდლოდ გადასცეს მგფ-ს მისი შესაძლებლობების განვითარების და განსაკუთრებული განვითარების ქვეპროექტების დაფინანსების მიზნით, - დებულების, აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების და საპროექტო ხელშეკრულების შესაბამისად. სესხის ამღები აფორმებს პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას და აღნიშნულით <u>სხვა პირობათა შორის</u> უზრუნველყოფს როგორც სასესხო სახსრების გამოყენებას მგფ-ს მიერ პროექტის განხორციელების

პროცესში, ისე სესხის ამღებისა და ADB-ს უფლებების დაცვას აღნიშნულთან დაკავშირებით. მსგავსი პროექტის განხორციელების ხელშეკრულება ჩამოყალიბდება ADB-სათვის მისაღები ფორმით, შესაბამისი პირობებისა და გარემოებების საფუძველზე და სესხის ამღებისათვის ზიანის მიყენების და მისი ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში.

პუნქტი 3.02. (ა) სესხის თანხის გამოთხოვნა სასესხო ანგარიშიდან შესაძლებელია: (I) უცხოური ვალუტის ღირებულების მქონე მისაღები საქონლის, სამუშაოებისა და საკონსულტაციო სერვისების, ისევე როგორც ქვეპროექტისათვის აუცილებელი სხვა ხარჯებისათვის და (2) ქვეპროექტისათვის აუცილებელი ადგილობრივი ვალუტის ღირებულების მქონე საქონლის, სამუშაოებისა და საკონულტაციო მომსახურებების ღირებულების ნაწილის დასაფინანსებლად.

(ბ) ADB-სმიერ სხვაგვარი შეთანხმების გარდა, სესხის სახსრების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ქვესესხის ან გრანტის სახით, კვალიფიცირებული მუნიციპალური მთავრობის მიმართ, რომელთან მიმართებაშიც სესხის ასეთი თანხა გამოთხოვნილ იქნა სასესხო ანგარიშიდან და გამოყენებული იქნება კონკრეტულად საქონლის, სამუშაოების, საკონსულტაციო სერვისებისა და ქვეპროექტის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ხარჯებისათვის, რომელთან მიმართებაშიც გამოთხოვილი იქნა სესხის აღნიშნული ნაწილი.

(გ) ADB-ს მიერ სხვაგვარი შეთანხმების გარდა, ყველა საქონელი, სამუშაოები და საკონსულტაციო სერვისები დაფინანსდება სასესხო სახსრებიდან, რომელთა შესყიდვა განხორციელდება აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების 4-ე დანართის პირობების შესაბამისად; ასეთი ცხრილი დროთა განმავლობაში შესაძლებელია შეიცვალოს სესხის ამღებისა და ADB-ს შეთანხმების შესაბამისად.

პუნქტი 3.03. სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვნა საქონელთან, სამუშაოებთან, საკონსულტაციო სერვისებთან და სხვა ხარჯებთან მიმართებაში განხორციელდება მხოლოდ იმ ხარჯებთანმიმართებაში, რაც დაკავშირებულია:

(ა) საქონელთან, რომელიც წარმოებული და მოწოდებულია და სამუშაოებთან და საკონსულტაციო სერვისებთან, რომელიც შემოტანილია აგბ-ს იმ წევრი ქვეყნებიდან, რომელთა ნუსხა დროდადრო ჩამოყალიბებულია ADB-ის მიერ შესყიდვებისათვის უფლებამოსილ წყაროებად; და

(ბ) საქონელთან, სამუშაოებთან და საკონულტაციო სერვისებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ სხვა მსგავს უფლებამოსილების შესაბამისობის მოთხოვნებს, რაც დროთა განმაველობაში ADB-ის მიერ ზუსტდება.

პუნქტი 3.04. სასესხო რეგულაციების 8.02 პარაგრაფის შესაბამისად, სესხის დახურვის თარიღად განსაზღვრულია 2014 წლის 30 ივნისი, ან სხვა თარიღი, რომელზეც სესხის ამღები და ADB დროთა განმავლობაში შეთანხმდებიან.

IV მუხლი

განსაკუთრებული პირობები

პუნქტი 4.01 (ა) სესხის ამღებმა უნდა დაიცვას და უზრუნველყოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სასესხო პირობების 6.08 პუნქტის დაცვა.

(ბ) პროექტის განხორციელებისას სესხის ამღებმა უნდა შეასრულოს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მე-5 დანართში და საპროექტო ხელშეკრულებაში წარმოდგენილი ვალდებულებები ან უზრუნველყოს მათი შესრულება.

პუნქტი 4.02. სასესხო პირობების 6.05 პუნქტში ჩამოთვლილი ანგარიშებისა და ინფორმაციის გარდა სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს აზიის განვითარების ბანკისათვის პროექტთან დაკავშირებული იმ ანგარიშებისა და ინფორმაციის მიწოდება, რომელსაც ეს უკანასკნელი დასაბუთებულად მოითხოვს (1) მუნიციპალიტეტების, ქვეპროექტების, ქვესესხების და გრანტების შესახებ, (2) მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმინისტრირების, ოპერაციების და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

პუნქტი 4.03. სესხი ამღებმა უნდა მისცეს საშუალება ADB-ის წარმომადგენლებს პროექტთან დაკავშირებით შეამოწმონ სესხის სახსრებით დაფინანსებული სეტისმიერი მუნიციპალიტეტი, ქვეპროექტი, საქონელი, სამუშაოები და საკონსულტაციო მომსახურება და მუნიციპალური განვითარების ფონდის ყველა შესაბამისი ჩანაწერი და დოკუმენტი.

პუნქტი 4.04. სესხის ამღებმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რომელიც საჭიროა მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის, რათა მან შესძლოს საპროექტო ხელშეკრულების ფარგლებში თავისი ვალდებულებების შესრულება და არ უნდა მიიღოს ან დაუშვას ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც დააბრკოლებს MDF-ის მიერ თავის მოვალეობების შესრულებას.

პუნქტი 4.05. (ა) სესხის ამღებმა იმგვარად უნდა გამოიყენოს თავისი უფლებები პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში,

რომ დაიცვას სესხის ამღების და აზიის განვითარების ბანკის ინტერესები და მიაღწიოს სესხის მიზნების განხორციელებას.

(ბ) ADB-ის წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი უფლებების ან მოვალეობების მინიჭება, შეცვლა, აცილება ან მათზე უარის თქმა.

V მუხლი

შეჩერება; სესხის გადახდის ვადის შემცირება

პუნქტი 5.01 ქვემოთ ჩამოთვლილია ის დამატებითი გარემოებები, რომელთა წარმოშობის შემთხვევაშიც შეჩერებული იქნება სესხის ამღების მიერ სასესხო ანაგრიშიდან თანხების გამოტანის უფლება სასესხიო პირობების 8.01 (მ) პუნქტის მიზნებისათვის:

(ა) სესხის ამღებმა ან მუნიციპალური განვითარების ფონდმა ვერ შეძლეს პროექტის განხორციელების ხელშეკრულების და/ან დაფინანსების საინვესტიციო ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი რომელიმე ვალდებულების შესრულება;

(ბ) მუნიციპალური განვითარების ფონდის წესდება იმგვარად იქნა შესწორებული, შეჩერებული, ანულირებული, გაუქმებული ან უარყოფილი, რომ ეს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს საპროექტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე.

(გ) სესხის ამღებმა ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა უწყებამ მიიღო ზომები მუნიციპალური განვითარების ფონდის ლიკვიდაციის ან გაუქმების ან მისი ოპერაციების შეჩერების მიზნით.

პუნქტი 5.02. სასესხო პირობების 8.07 (დ) პუნქტის მიზნებისათვის სესხის დაფარვის ვადის შემცირების გამომწვევ დამატებით გარემოებას წარმოადგენს შემდეგი: წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების 5.01 პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების წარმოშობა და გაგრძელება ოთხმოცდაათ (90) დღეზე მეტი ხნის განმავლობაში.

VI მუხლი

ეფექტურობა

პუნქტი 6.01 სასეხო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად სასესხო პირობების 9.04 პუნქტის მიზნებისათვის დადგენილი იქნა სამოცი (60) დღე წინამდებარე სასეხო ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

VII მუხლი

უფლებამოსილების გადაცემა

პუნქტი 7.01 წინამდებარე დოკუმენტით სესხის ამღები მუნიციპალურ განვითარების ფონდს ნიშნავს თავის აგენტად (უფლებამოსილ წარმომადგენლად) წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების 3.02 და 3.04 ნაწილების და სასესხო პირობების 5.01, 5.02, 5.03 და 5.04 პუნქტებით გათვალისწინებული და ნებადართული ღონისძიებების განხორციელებისა და შეთანხმებების გასაფორმებლად.

პუნქტი 7.02. წინამდებარე სასეხო ხელშკრულების 7.01 პუნქტით მისთვის გადაცემული უფლებამოსილების თანახმად მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება ან გაფორმებული შეთანხმება სრული მოცულობით სავალდებულოა სესხის ამღებისათვის და იგივე იურიდიული ძალა და მნიშვნელობა აქვს, როგორც სესხის ამღების მიერ განხორციელებულს.

პუნქტი 7.03. წინამდებარე სასეხო ხელშეკრულების 7.01 პუნქტით მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გადაცემული უფლებამოსილება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს სესხის ამღებსა და აზიის განვითარების ბანკს შორის შეთანხმების საფუძველზე.

VIII მუხლი

სხვადასხვა

პუნქტი 8.01 სესხის ამღების ფინანსთა მინისტრი წარმოადგენს სესხის ამღების წარმომადგენელს სასესხო პირობების 11.02 პუნქტის მიზნებისათვის.

პუნქტი 8.02 სასესხო პირობების 11.01 პუნქტისმიზნებისათვის მითითებულია შემდეგი მისამართები:

<u>სესხის ამღების სახელით:</u>

საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი
ფინანსთა სამინისტრო
გორგასლი ქ. 16, 0114,
თბილისი, საქართველო

ფაქსი: (99532) 261 461

<u>აზიის განვითარების ბანკის სახელით:</u>

Asian Development Bank
P.O. Box 789
0980 Manila, Philippines

ფაქსიმილეს ნომერი:
(632) 636-2444
(632) 636-4284

რის დასტურადაც, მხარეები, თავიანთი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ ამ სასესხო ხელშეკრულებას და გზავნიან ADB-ის სათაო ოფისში ზემოთმოყვანილ წელსა და რიცხვში.

საქართველო

_____ მიერ
უფლებამოსილი წარმომადგენელი

აზიის განვითარების ბანკი

_____ მიერ
პრეზიდენტი